

მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერჯეტიკისთვის

ჩვენ, მერები, ამ შეთანხმების ხელმოწერით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების სიდიდისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად ვიზიარებთ საერთო ხედვას მდგრად მომავალზე. ერთობლივი ხედვა გვებმარება ვიმოქმედოთ ურთერთდაკავშირებულ პრობლემათა გადასაწყვეტად: კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების შერბილების, მის შედეგებთან შეგუებისა და მდგრადი ენერჯეტიკული განვითარებისთვის. ჩვენ მზად ვართ, ერთად გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან, ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. ჩვენი საერთო ვალდებულებაა ჩვენს მუნიციპალიტეტებში ჩამოვაყალიბოთ უფრო მდგრადი, მიმზიდველი, ცხოვრებისათვის ხელსაყრელი, სიცოცხლის უნარიანი და ენერგოეფექტური გარემო.

ჩვენ, მერები ვაღიარებთ, რომ:

კლიმატის ცვლილება მიმდინარეობს და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამიტომაც საჭიროა გადაუდებელი მოქმედება და თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მდგრადი ენერჯეტიკის შექმნისა და კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მმართველობის ეს რგოლი უშუალო კავშირშია მოქალაქეებთან. სწორედ მოქალაქეები, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებელნი არიან კლიმატის ცვლილების შერბილებაზე და და აქვთ სურვილი იმოქმედონ დამოუკიდებლად. ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოები, ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში და ნებისმიერ გეოგრაფიულ ზონაში, დგანან წინა ხაზზე, რათა შეამცირონ და შეაკავონ მათი ტერიტორიების მიმართ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვადასხვა უარყოფითი გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ძალისხმევაა მიმართული გამონაბოლქვი აირების შესამცირებლად, შეგუების ღონისძიებებიც საჭიროა და აუცილებელი დანამატია კლიმატის ცვლილებით მიღებულ შედეგთა შესარბილებლად;

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებასა და შეგუებას შეუძლია მრავალი უპირატესობის მოტანა გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის. ამ პრობლემათა ერთობლივი მოგვარება, ადგილებზე მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ახალ წინაპირობებს ქმნის. ესენია: ინკლუზიური, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი და ენერგოეფექტური საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის ფორმირება; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; ინვესტიციებისა და ინოვაციების სტიმულირება; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის განვითარება.

ენერგეტიკასა და კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაწყვეტა უზრუნველყოფს უსაფრთხო, მდგრად, კონკურენტუნარიან და ხელმისაწვდომ ადგილობრივ ენერჯის გენერაციას თითოეული მოქალაქისათვის, შესაბამისად, ამცირებს მათ ენერგოდამოკიდებულებას და იცავს მომხმარებელთა ყველაზე უმწეო ფენებს.

ჩვენ, მერებს, გვაქვს საერთო ხედვა და მიზნები 2050 წლამდე:

- ტერიტორიის დეკარბონიზაცია, რომელიც იძლევა საშუალებას გლობალური დათბობის შეკავებისა 2 გრადუს ცელსიუსს ქვემოთ, წინა სამრეწველო ტემპერატურის მაჩვენებელთან მიმართებაში, რაც შეესაბამება 2015 წლის დეკემბერში, პარიზში, მხარეთა მიერ კონფერენციაზე მიღებულ საერთაშორისო კლიმატურ შეთანხმებებს.
- უფრო მდგრადი ტერიტორიების შექმნა, რომელთაც ახასიათებთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გარდაუვალი უარყოფითი ზემოქმედებისადმი მედეგობა;
- საყოველთაო ხელმისაწვდომობა ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრადი ენერგეტიკული მომსახურებისადმი, რომელიც ცხოვრების დონისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების წინაპირობასაც ქმნის.

ჩვენ, მერები, ვალდებულებას ვიღებთ ხელი შევუწყოთ ამ მიზნების მიღწევას შემდეგი გზით:

- ჩვენს ტერიტორიაზე, 2030 წლამდე ნახშირორჟანგის (ასევე, სხვა სათბურის აირების) გამოყოფის მინიმუმ 30%-ით შემცირებით, ენერგოეფექტურობის ამაღლებითა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საშუალებით;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენებისადმი შეგუების საშუალებით მედეგობის ამაღლებით;
- მერების გლობალური შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირისა და მის გარეთ მდებარე, სხვა ადგილობრივ და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებთან პირდაპირი თანამშრომლობითა და თანაბარი ურთიერთქმედების გზით. ჩვენი ხედვის, გამოცდილების და სიახლეების გაზიარებითა და ურთიერთგაცვლით.

ჩვენი ვალდებულებების ქმედებაში გადაზრდის მიზნით, ვიღებთ პასუხისმგებლობას, დანართ I წარმოდგენილი გზამკვლევის ეტაპობრივ განხორციელებაში, მათ შორის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, განხორციელებასა და მის რეგულარულ მონიტორინგში.

მერები, ვაღიარებთ რომ ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებანი, მოითხოვს :

- ძლიერ პოლიტიკურ ლიდერობას;

- ამბიციური და გრძელვადიანი მიზნების დასახვას, რომელნიც ადგილობრივი პოლიტიკურ უფლებამოსილების ჩარჩოებს სცილდებიან;

- კოორდინირებულ ურთიერთქმედებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შედეგებთან შეგუების ღონისძიებათა ფარგლებში, ამ პრობლემათა მოგვარებასთან კავშირში მყოფ ყველა მუნიციპალურ სამსახურთა მობილიზების გზით;

- დარგთაშორის და ტერიტორიალურ მიდგომას;

- შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფას;

- ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ;

- მოქალაქეებზე, როგორც ენერჯის ძირითად მომხმარებლებზე, "პროფესიული დონის მომხმარებლებზე" და ენერგეტიკული სისტემის მონაწილეებზე, რომელნიც რეაგირებენ მოთხოვნაზე, უფლებამოსილების მინიჭებას;

- დაუყოვნებლივ ქმედებებს, კერძოდ, მომგებიან და მიზანსწრაფულ ქმედებებს;

- ენერგეტიკულ ცვლილებათა გარდამავალ პერიოდში, ტექნიკური და სოციალური გადაწყვეტილებების გონივრულ დანერგვას;

- მონიტორინგისა და შეფასების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, სამოქმედო გეგმის პერიოდულად კორექციას;

- ინტეგრირებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ თანამშრომლობას (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მმართველობის ყველა დონის სტრუქტურებს შორის).

ჩვენ , მერები, მივესალმებით:

- ევროკომისიის ინიციატივას ორი კომპონენტის - კლიმატის ცვლილების შერბილების და ზეგავლენასთან შეგუების - ერთობლივ ინიციატივად შერწყმას და სინერჯიას ევროკავშირის სხვა შესაბამის ინიციატივებთან.;

- ევროკომისიის მიერ, დანარჩენ მსოფლიოში, მერების შეთანხმების ახალი მოდელის მხარდაჭერას, მერების გლობალური შეთანხმების მეშვეობით;

- მერების შეთანხმებისა და მათი მიზნების მხარდაჭერას რეგიონალური კომიტეტის მიერ, როგორც ინსტიტუციური ხმისა ევროკავშირის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისა;

- ადგილობრივ მმართველ ორგანოთა დახმარებას, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მის ზეგავლენასთან შეგუების საქმეში აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში, მონაწილე სახელმწიფოთა, რეგიონების, პროვინციების, ქალაქების და სხვა სტრუქტურების მიერ.

ჩვენ, მერები, ვიწვევთ:

- ადგილობრივი მმართველობის სხვა ორგანოებს:

- მერების შეთანხმების ინიციატივასთან შემოსაერთებლად;
- ცოდნის გაზიარებისა და მერების შეთანხმების პოტენციალის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად;

- ხელისუფლების რეგიონალურ / ქვე-რეგიონალურ ორგანოებს :

- მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის სტრატეგიული, ტექნიკური და ფინანსური მხარდასათვის;
- ეფექტურობისა და ინტეგრაციის საქმეში თანამშრომლობისა და საერთო მიდგომის გაუმჯობესების ხელშეწყობაში;

- ეროვნულ მთავრობებს:

- რომელთაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, კლიმატის ცვლილების პრობლემათა გადაჭრაში და უზრუნველყონ შესაბამისი პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა ჩვენი ადგილობრივი გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში;
- ჩაერთონ კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილების და და მის შედეგებთან შეგუების ეროვნული სტრატეგიების მომზადებასა და განხორციელებაში;
- უზრუნველყონ კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი ენერგეტიკის პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო მექანიზმების ჩამოყალიბება;
- აღიარონ ჩვენი ძალისხმევა და გავლენა ადგილებზე, გაითვალისწინოთ ჩვენი საჭიროებები და ასახონთ ჩვენი შეხედულებები ევროპულ და საერთაშორისო კლიმატურ პროცესებში.

- ევროპულ ინსტიტუციებს:

- ადგილობრივი კლიმატური და ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, ქალაქებს შორის თანამშრომლობის გაძიერებისა და ძალისხმევის კონსოლიდაციის მხარდასაჭერად;
- შესაბამისი ქმედითი ტექნიკური დახმარების მიწოდებისა და სტიმულირების მხარდასაჭერად;
- ხელი შეუწყონ ჩვენს ჩართვას მერების შეთანხმებასთან დაკავშირებულ სტრატეგიებში, დახმარების პროგრამებში და ევროკავშირის ქმედებებში. ამ სტრატეგიებისა და პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;
- გააგრძელონ შესაძლო დაფინანსების წყაროებისა და დახმარების მიზნობრივ საშუალებათა შემოთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ვალდებულებათა

რეალიზაციას, ასევე განვითარების პროექტის სატენდერო წარდგენასა და საინვესტიციო პროგრამების დანერგვას;

- აღიარონ ჩვენი როლი და ძალისხმევა კლიმატის ცვლილების შერბილებასა და შედეგებთან ადაპტაციაში, ასევე მიაწოდონ ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენს წარმატებებზე.

– სხვა დაინტერესებულ მხარეებს¹:

- მოახდინონ გამოცდილების, ტექნოლოგიებისა და ფინანსური რესურსების მობილიზება და გაზიარება, რომელიც შეავსებს და გაამდიერებს ჩვენს ძალისხმევას ადგილებზე, ასევე ხელი შეუწყონ ინოვაციათა და ინვესტიციათა მოზიდვას, შესაძლებლობათა გაფართოებას;
- გახდნენ პროცესის აქტიური მონაწილეები, დაგვეხმარონ და მხარი დაგვიჭირონ, საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის გზით.

¹ მაგალითად კერძო სექტორი, ფინანსური ინსტიტუციები, სამოქალაქო საზოგადოება და მეცნიერული წრეები.

დანართი I

მერების შეთანხმების პროცედურული ნაბიჯები და სახელმძღვანელო პრინციპები

ზოგადი გზამკვლევი საერთო ხედვის ფორმირებისათვის:


კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შედეგთან ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად, მერების შეთანხმების ხელმომწერნი ვალდებულებას იღებენ განახორციელონ შემდეგი ნაბიჯები:

ნაბიჯი/ ეტაპი	შერბილება	შედეგები
1) ინიცირება და საბაზისო ხედვა	საბაზისო გამონაბოლქვის ინვენარიზაცია	კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისა და მოწყვლადობის შეფასების მომზადება,
2) სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და დაგეგმარება	მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (მეკსგ) წარდგენა და შერბილებისა და შედეგების იდეოლოგიის* ფართო დანერგვა შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებში, სტრატეგიებში და გეგმებში	მერების შეთანხმებასთან მიერთების შესახებ მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის განმავლობაში
3) განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიშგება	ანგარიშის წარდგენა მერების შეთანხმების სამდივნოსთვის <u>მეკსგ-ს წარდგენის შემდეგ ყოველ მეორე წელიწადს.</u>	

* შედეგების სტრატეგია შეიძლება იყოს მეკსგ-ს ნაწილი „ანდა/ დამუშავდეს ცალკე დოკუმენტის სახით. ხელმომწერებს შეუძლიათ აირჩიონ დოკუმენტის ფორმატი - ნახეთ პუნქტი "შედეგების გეზი" ქვემოთ .

მერების შეთანხმებასთან მიერთების პირველი და მეორე წლების განმავლობაში საფუძველი ეყრება სამოქმედო გეგმას. ამ პერიოდში უნდა შეფასდეს არსებული მდგომარეობა (გამონაბოლქვის ძირითადი წყაროები და მათი შემცირების პოტენციალი, მთავარი კლიმატური რისკები და მოწყვლადობა, კლიმატური რისკებიდან გამომდინარე არსებული თუ სამომავლო გამოწვევები), განსაზღვროს პრიორიტეტები კლიმატის ცვლილების შემარბილებისა და შედეგების ღონისძიებებისთვის, ამაღლდეს ადგილობრივი თემის ჩართულობა შესაბამისი ნაბიჯების განსახორციელებლად საჭირო რესურსების მობილიზება. შემდეგ წლებში აქცენტი იქნება გადატანილი ღონისძიებების განხორციელებაზე და მათი მასშტაბების ზრდაზე.

მოქნილი, ადგილობრივ რეალობებზე მორგებული პროცესი



მერების შეთანხმება აყალიბებს სამოქმედო არეალს, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი იდეების ქმედებებში გარდასახვას, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხელმომწერებს ენიჭებათ საკმარისი თავისუფლება მოქმედების ოპტიმალური გზები საკუთარი გეგმების განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა განსხვავებულია პრიორიტეტები, მიზანშეწონილია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენოს ინტეგრირებული და კომპლექსური მიდგომა.

– შერბილების გეზი

შერბილების „გეზი“ უზრუნველყოფს ხელმომწერთა ერთგვარ მოქნილობას, კერძოდ, სათბურის აირების გამოყოფის ინვენარიზაციის პროცესში (მაგ.საბაზო წელის შერვება, ძირითად სექტორების შერჩევა, გათვლებისთვის გამოყენებადი გამონაბოლქვის კოეფიციენტი, გამონაბოლქვის ერთეული - გამოიყენება ანგარიშგებისას და ა.შ.).

- შეგუების გეზი

შეგუების „გეზი“ საკმაოდ მოქნილია ახალი ცოდნისა და შედეგების ინტეგრირებისათვის. ასევე, გარემოპირობისა და ხელმომწერთა შესაძლებლობათა ცვლილებების გასათვალისწინებლად. კლიმატური რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება უნდა დასრულდეს შეთანხმებული ორი წლის ვადაში. შედეგები საფუძველს მოგვცემს დადგინდეს, თუ როგორ გახდეს მუნიციპალური ტერიტორია უფრო მედეგი. შეგუების სტრატეგია, რომელიც მდგრადი ენერგეტიკისა და

კლიმატის სამოქმედო გეგმის ნაწილს შეადგენს ანდა სხვა შესაბამის სტრატეგიული დოკუმენტებშია შესული, დროთა განმავლობაში, შესაძლოა გაუმჯობესდეს და დაზუსტდეს. პირველ ეტაპზე, შეგუების სტრატეგიაში, შეიძლება ასახულ იქნეს ყველაზე მომხიბვლელი, გადაუდებელი ღონისძიებები ხოლო შემდგომ (მაგალითად, ყოველ ორ წელიწადში სიტუაციის განხილვისას, სამოქმედო გეგმის გადახედვის დროს), სხვა ღონისძიებები დაემატოს გეგმას. - ასეთი მიდგომა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესებისადმი, დროულად და უფრო მცირე დანახარჯებით შეგუების შესაძლებლობას იძლევა.

გამჭვირვალე, სანდო ინიციატივა:

პოლიტიკური მხარდაჭერა: მერთების პროცესი, მდგრადი ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რატიფიცირებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების ასფუძველზე, ქმნის საიმედო, გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერის წინაპირობას. **საიმედო, თანმიმდევრული და ჰარმონიზირებული მონაცემთა მოგროვების და ანგარიშების ჩარჩო:** მუნიციპალიტეტების, რეგიონების, ქალაქების ქსელის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეთანხმების მეთოდოლოგია ეფუძნება ევროკომისიასთან ერთობლივად შემუშავებულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ბაზისს. შექმნილია მეთოდოლოგიური პრინციპები და ანგარიშების ნიმუშები, რომელიც საშუალებას აძლევს ხელმომწერებს სტრუქტურირებულად და სისტემატურად მოახდინონ შედეგთა მონიტორინგი და გასაჯაროონ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია.

წარდგენილი მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა გასაჯაროვდება მერების შეთანხმების ვებ-გვერდზე თითოეული ხელმომწერისთვის გამოყოფილ სივრცეში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამით მიიღწევა, ხელმომწერთა კლიმატური საქმიანობის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და უერთიერთ-შედარებადობა .

გაწეული ძალისხმევის აღიარება და წარმოჩენა ინფორმაციის გაცვლის, თვითშეფასებისა და მოტივაციის ასამაღლებლად, განხორციელების ანგარიშგების საშუალებით მიღებული ხელმომწერთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია აისახება შეთანხმების ვებ-გვერდზე. მერების შეთანხმების შესაბამისად წარგენილი ანგარიშები, ხელმომწერებს, ადგილზე განხორციელებული ღონისძიებების შედეგების დემონსტრირების საშუალებას აძლევს. მერების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშების მონაცემები მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

ხელმომწერთა მიერ მიწოდებულ მონაცემთა შეფასება: ხარისხის ასეთი კონტროლი უზრუნველყოფს მერების შეთანხმების მტლიანი პროცესის საიმედოობას და სანდოობას..

მონაწილეობის შეზერება შეუსრულებლობის შემთხვევაში: ხელმომწერები აცნობიერებენ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება შეუჩერდეს ინიციატივის წევრობა (მერების შეთანხმება აღმოსავლეთით ოფისის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე) - ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების (მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, შუალედური ანგარიშები) წარდგენის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში. ამ პრცედურით ხელმომწერთა შორის თანაბარუფლებიანობა, გამჭვირვალობა და სანდოობა მიიღწევა.

დანართი II

წინასიტორია და კონტექსტი

მერების შეთანხმების ხელმომწერები იღებენ რა ვალდებულებას ამ ინიციატივის წინაშე, სრულად აცნობიერებენ შემდეგს:

- კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისო პანელმა (IPCC), შეფასების მეხუთე ანგარიშში, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კლიმატის ცვლილება არის რეალობა და ადამიანის საქმიანობა აგრძელებს ზემოქმედებას დედამიწის კლიმატზე;
- IPCC დასკვნით, კლიმატის ცვლილების შერბილება და შედეგებთან შეგუება - წარმოადგენენ კლიმატის ცვლილებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში გამოწვეული რისკების ურთიერთშემდგომებს, მიმართულს ამ რისკების შემცირებისკენ.
- კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში ეროვნული მთავრობებმა დაისახეს, კოლექტიურ მიზანი - ზე შეინარჩუნონ გლობალური დათბობის საშუალო დონე 2°C ქვემოთ, წინანდუსტრიულ დონესთან შედარებით;
- გაეროს კონფერენცია Rio + 20 კონტექსტში, ეროვნული მთავრობები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების (SDG) მიზანებზე; ეს მიზნები აყალიბებს მოთხოვნებს საერთაშორისო ტანამეგობრობას, კერძოდ კი: SDG7 "ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიით ყველას უზრუნველყოფას"; SDG11 "რათა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი პირობები მისაღები, ინკლუზიური, მდგრადი და სანდო გახდეს" და SDG 13 - "მიღებულ იქნას გადაუდებელი ზომები კლიმატის ცვლილებასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად";
- გაეროს გენერალური მდივნის 2011 წელს შემუშავებული ინიციატივა "მდგრადი ენერჯია ყველასათვის" ორიენტირებულია 2030 წლამდე შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული მიზნის მისაღწევად: "თანამედროვე ენერგეტიკული მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა", "ენერგოეფექტურობის ზრდის ტემპის გაორმაგება" და "განახლებადი ენერჯიის წყაროთა წილის გაორმაგება გლობალურ ენერგეტიკულ ბალანსში";

ევროკომისიამ (EC), 2008 წელს დაიწყო „მერების შეთანხმების“ პროცესი ხოლო, როგორც ევროკავშირის კლიმატის ცვლილებასთან შეგუების სტრატეგიის (EC,2013) ნაწილი 2014

წელს „მერები ადაპტაციისთვის“ ადაპტაციის ინიციატივა როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ქმედებების მხარდამჭერი პროგრამა, რომლებიც მიმართულია კლიმატის ცვლილების შერბილებისა და გამოწვეულ შედეგებთან შეგუებისკენ.

- ევროკავშირის მერების შეთანხმება რეალიზაციის დაწყებისთანავე აღიარებულ იქნა ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტად, რაც ხაზგასმით აღინიშნა ევროკავშირის სტრატეგია (EU, 2015) და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიაში (EU 2014), რომელიც მიზნად ისახავს ენერგეტიკული გადასვლის დაჩქარებას და ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერებას;
- 2014 წლის ოქტომბერში ევროკავშირმა მიიღო კლიმატისა და ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი საფუძვლები 2030 წ-მდე, ახალი მიზნები (კერძოდ, კი შიდა შემცირება სასაბურთე აირების გამონაბოლქვისა მინიმუმ 40%-ით, მინიმუმ 27% ენერგომომარება განახლებადი წყაროების ენერჯისა ევროკავშირში, მინიმუმ 27% ენერჯის დაზოგვა);
- ევროკომისიამ 2011წ მიიღო "2050 წლამდე კონკურენტუნარიან დაბალ ნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლის საგზაო რუკა", რომელიც მიზნად ისახავს 2050 წლისთვის საბურთე აირების გამონაბოლქვის შემცირებას ევროკავშირში 80-95%-ით 1990 წელთან შედარებით. ამ ინიციატივას მიესალმა ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო;
- ევროკავშირის რეგიონების კომიტეტი ხაზს უსვამს ვალდებულებას შემდგომშიც მხარი დაუჭიროს მერების შეთანხმებას, მაგალითად, მიზანმიმართული პლატფორმის შექმნით რეგიონულ კომიტეტის ფარგლებში და სხვა მექანიზმებით, ეს მოსაზრება გაცხადებულია შეთანხმების მომავალზე დასკვნით მსჯელობაში (enve-VI-006).

დანართი III

განმარტებები

- **შერბილება:** ქმედებები, კლიმატის ცვლილებათა უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, მათ მიერ მიყენებული ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად ანდა მათ მიერ შექმნილ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად.
- **კლიმატის ცვლილება:** დროთა განმავლობაში კლიმატის ნებისმიერი ცვლილება, გამოწვეული მიმდინარე ბუნებრივი პროცესებისა, თუ ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების შედეგად.
- **სათბური აირების ინვენტარიზაცია:** სათბური აირების (CO₂ და CO₂ ექვივალენტი), რაოდენობრივი გაანგარიშება რომელიც გამოიყოფა ენერგო რეასურსების მოხმარებისას შეთანხმების ხელმომწერთა ტერიტორიაზე, კონკრეტულ წელიწადში. ინვენტარიზაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამონაბოლქვის გამოყოფის ძირითადი წყარო და შესაბამისად მისი შემცირების პოტენციალი.
- **განხორციელების ანგარიში (მონიტორინგის ანგარიში):** დოკუმენტი, რომელიც შეთანხმების ხელმომწერები ვალდებული არიან წარადგინონ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, რომელშიც მითითებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შედეგები. მოცემული ანგარიშის მიზანია, დაგეგმილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების ეფექტურობის .
- **მომხიბვლელი- გადაუდებელი (შეგუების) ღონისძიებები:** ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს უშუალო (დაუყოვნებლივ) ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელს. და რომელთა განხორციელებაც მიზანჭეწონილია კლიმატის ცვლილების ნებისმიერი პროგნოზირებადი სცენარისას.
- **პროფესიული ღონის მომხმარებელი:** აქტიური მომხმარებლები, მომხმარებლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არა მარტო საკუთრივ მოხმარებულ ენერგიაზე, არამედ იღებენ პასუხისმგებლობას მის წარმოებაზეც.
- **მედეგობა:** სოციალური და ეკოლოგიური სისტემის უნარი შეითვისოს გარე ფაქტორების/პირობების ცვლილებებს, საკუთარი ფუნქციონირების ხასიათის მნიშვნელოვანი შეცვლის გარეშე; და შესაძლებლობა შეეგუოს ამ ცვლილებით გამოწვეულ სტრესებს.
- **რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება:** ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს რისკის ბუნებასა და მასშტაბს, პოტენციური საფრთხეების ანალიზითა და მოწყვლადობის შეფასებით, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ან ზიანი მიაყენოს ადამიანს, ქონებას, ზეგავლენა მოახდინოს საარსებო გარემოზე, ან გარემოზე, რომელზეც დამოკიდებულია - იგი საშუალებას იძლევა, დადგინდეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები და, შესაბამისად, იგი აწვდის ინფორმაციას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ასეთი შეფასება შეიძლება ორიენტირებული იყოს ისეთ რისკებზე როგორცაა წყალდიდობა, ექსტრემალური ამინდი და სიციხე, გვალვა და წყლის დეფიციტი, ქარბუქი და სხვა ექსტრემალური ამინდის მოვლენები, ტყის ხანძართა რაოდენობის გაზრდა, ზღვის დონის მატება და სანაპირო ზოლის ეროზია (თუ არის ასეთი შემთხვევები).

- რისკი:** სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალისა და უარყოფითი შედეგების მიღების ალბათობა (მაგ.სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საარსებო პირობების, აქტივებისა და მომსახურების), რომელიც შეიძლება განიცადოს არასტაბილურ-მოწყვლად გარემოში მყოფმა თემმა თუ სოციუმმა გარკვეული პერიოდის შემდეგ.
- მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ):** საკვანძო დოკუმენტი, რომელშიც შეთანხმების ხელმომწერი ასახავს, თუ როგორ აპირებს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. იგი აყალიბებს, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შედეგებთან შეგუების დროში გაწერილ ქმედებებს მიმართულს დასახული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად, უფლებამოვალეობების განაწილებით. .
- მოწყვლადობა:** სისტემის წინააღმდეგობის გაწევის უნარის დაქვეითების (უუნარობის) მაჩვენებელი- წინააღმდეგობა გაუწიოს (კლიმატის ცვლილების) ნეგატიურ ზემოქმედებას, მათ შორის კლიმატის შეცვლას და ექსტრემლურ პირობებს (მედეგობის საპირისპირო).